ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:№97. 9723061001
თარიღი:02/03/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი N-02

დ. ლენტეხი. 24/ თებერვალი/2022წ

მიმდინარე წლის 24 თებერვალს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 12 (თორმეტი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, , ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი და იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ლენტეხის არასამეწარმეო (არაკომერციული)ნ იურიდიული პირების ხელმძღვანელები და საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

ბიუროს დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ აქცენტი გააკეთა ლენტეხის მუნიციპალიტეტში უსვი ნალექის გამო შექმნილ პრობლემებზე და ყველა დეპუტატს მოუწოდა მაქსიმალურ მობილიზაციაზე ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით მარტოხელა ოჯახების დასახმარებლად.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცება.

/მომხს. გ. გაზდელიანი/

2. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -12

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირების 2023 წლის გეგმა-პროგრამების განხილვა.

/მომხს. ლ. გუგავა/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხს. დ. ტვილდიანი/

3. „ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხს. ტ. ჩანქსელიანი/

4. 2023 წლის 1 იანვრისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთის განაწილების შესახებ.

/მომხს. ტ. ჩანქსელიანი/

5. ლენტეხის მუნიციპალიტეტში გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე.

/მომხს. დავით პირველი/

6. „ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხს. ტ. აფაქიძე/

7. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ტ. აფაქიძე/

8. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ხ. ლიპარტელიანი/

9. სხვადასხვა .

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

1. მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ ბიუროს წევრებს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა გეგმა-პროგრამებთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ მერიის მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი აიპიების 2023 წლის გეგმა-პროგრამები დაწვრილებით იქნა განხილული კომისიის მიერ, არის შენიშვნები, რომლებიც უნდა გასწორდეს. კერძოდ აიპიების ხელმძღვანელებმა ყველა თანამშრომელზე არ ასახეს 10%-იანი მატება. ზოგზე მეტია გაკეთებული, ზოგზე საერთოდ არა. ეს ხარვეზი უნდა გასწორდეს. ხელსეკრულებების შემთხვევაში სხვა მიდგომაა და შტატებში ვინც არის ყველას თანაბრად უნდა მოემატოს ხელფასი.

2. აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა, რომ ყველა აიპის ხელმძღვანელი იყო წინასწარ დაბარებული, ახსნილი იყო მათთვის კონკრეტულად, თუ როგორ უნდა ემოქმედათ, მაგრამ გეგმა-პროგრამები წარმოადგინეს ხარვეზებით. ყვლა აიპს შეევსო სუბსიდია, დაემატათ თანხები 10%-იანი მატების თვის და მათ აქვთ ვალდებულება იმოქმედონ დამტკიცებული 2023 წლის ბიუჯეტის შესაბამისად. შესაბამისად 10%-იანი მატება უნდა სახონ ყველა თანამშრომელზე.

ბიუროს წევრებმა გარკვეული მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეს: მერიას წარმოდგენილ გეგმა-პროგრამებთან დაკავშირებით შენიშვნები გაეგზავნოს შემდეგი სახით:

1. ა(ა)ი.პირების ხელმძღვანელებმა ყველა თანამშრომლის თანამდებობრივ სარგოზე ასახონ ხელფასების 10%-იანი მატება;

2. იმ თანამშრომლებზე, რომელთა ხელფასებზე აქვთ 10%-ზე მეტი მატება ან კლება გაკეთებული წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათი, თუ რა მოტივით განხორციელდა ეს პროცესი;

3. მოხსენებით ბარათში ასევე აღინიშნოს მიზეზი მომატებული საშტატო რიცხოვნების ან პირიქით შემცირებული შტატების რაოდენობის შესახებ.

4. იმ პირებზე, რომლებიც მუშაობდენენ 2022 წელს ა(ა)ი.პირებში და დღეს არ არიან დაფიქსირებული არცერთ აიპში, შესაბამისმა ა(ა)ი.პირის ხელმძღვანელმა მოხსენებით ბარათს თან დაურთოს ამ პირების სამუშაოზე აყვანის და გახთავისუფლების ბრძანების ასლები.

მიმდინარე წლის 10 მარტამდე აიპიების ხელმძღვანელებმა წარმოადგინონ საკრებულოში 2023 წლის გეგმა-პროგრამები აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

2.მოისმინეს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა აღნიშნა, რომ მომზადებულია დადგენილების პროექტი ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ . მომხსენებელმა განმარტა, რომ დადგენილებაში არ იცვლება არაფერი, წარმოდგენილია იგივე მონაცემები, როგორც გასულ წელიწადს, უბრალოდ უნდა გაახლდეს .

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -12

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

3. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი

,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა რომ ეს არის 2023 წლის ბიუჯეტში პირველი ცვლილება. უნდა აისახოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხები და 2023 წლისათვის არსებული ნაშთი.

ბიუროს წევრებმა შეკითხვები დაუსვეს მომხსენებელს. მან პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -12

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

4. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - 2023 წლის 1 იანვრისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთის განაწილების შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით:

მომხრე - 12

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი - 2023 წლის 1 იანვრისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთის განაწილების შესახებ გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

5. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა აღნიშნა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია განაკარგულებები გეოგრაფიული ობიექტების სახელდებაზე. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხებზე საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართვა უნდა გაუგზავნოს სამთავრობო კომისიას. მიმართვას თან უნდა დაერთოს ორთოფოტო, შესაბამისი გეოგრაფიული ობიექტის მონიშვნით და გეოგრაფიული ობიექტის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და დადო კომისიის დასკვნა. აუცილებელია მივმართოთ მერიას და დაგვეხმაროს ელ ვერსიების გაკეთებაში.

გადაწყვიტეს: ეთხოვოს მერიას დახმარება აღნიშნული საკითხების სრულყოფაში და მერიის შესაბამისი სამსახურის მეშვეობით დაამზადონ სახელდებული ობიექტების ელ ვერსიები დანართი N-1-ის მიხედვით.

6. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა აღნიშნა, რ რომ მიმდინარე წლის 17 იანვარს საკრებულოში შემოვიდა სოფ. ჩუკულის ლეკუმბასტის უბნის მაცხოვრებელთა ერთიანი განცხადება ლეკუმბასტის, როგორც ცალკე დასახლებად გამოყოფის და მისთვის ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსის მინიჭების შესახებ.

26 იანვარს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განიხილა აღნიშნული განცხადება და მიიღო გადაწყვეტილება - დაიწყოს შესაბამისი პროცედურები. კერძოდ: მოგეხსენებათ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-4-ე მუხლის მეორე პუნქტში მითითებული ,,დასახლების შექმნისა და გაუქმების დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის“ წესი. ამ წესის მიხედვით მერიამ უნდა უზრუნველყოს ლეკუმბასტისა და ჩუკულის მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზება. ამ შეხვედრაზე უნდა დაფიქსირდეს და დაოქმდეს ორივე მხარის თანხმობა. ოქმში უნდა ჩაიწეროს არგუმენტირებული მოტივაცია აღნიშნულ საკითხზე. ამ პროცედურების გავლის შემდეგ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე მოხდება საკითხის განხილვა და საკრებულოს სხდომისთვის მომზადება.

აზრი გამოთქვა: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ აღნიშნული საკითხი ადგილზე მისვლით იქნა შესტავლილი მერიაში შექმნილი კომისიის მიერ. შევხვდით მოსახლეობას, გაკეთდა საოქმო ჩანაწერი და დაიდო დასკვნა სოფლის გაყოფის მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს: საკითხის შესწავლა დამთავრებულია და საკრებულოს თავმჯდომარემ უნდა გააგზავნოს შუამდგომლობა სამთავრობო კომისიაში.

7. მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციიდან იყო შენიშვნები დადგენილებებზე, ეს შენიშვნები გათვალისწინებული იქნა და მომზადდა ახალი დადგენილებები.

ბიუროს სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკრებულოს დღის წესრიგში გათვალისწინებული იქნას დადგენილებების პროექტები:

1.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხს. ტ. აფაქიძე/

2.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ტ. აფაქიძე/

3.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

6. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავიტ პირველმა ა

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -12

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხს. დ. ტვილდიანი/

2. „ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხს. ტ. ჩანქსელიანი/

3.2023 წლის 1 იანვრისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთის განაწილების შესახებ.

/მომხს. ტ. ჩანქსელიანი/

4.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხს. ტ. აფაქიძე/

5.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ტ. აფაქიძე/

6.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ხ. ლიპარტელიანი/

7.სხვადასხვა

ბიუროს სხდომაზე განხილვის საგანი გახდა უხვი ნალექის გამო მუნიციპალიტეტში შექმნილი პრობლემები. რამდენიმე მაჟორიტარმა დეპუტატმა უკმაყოფილება გამოხატა სოფლებში მისასვლელი გზების დროულად არ გახსნის და უგზოობის შედეგად შექმნილი პრობლემების გამო, რამაც გამოიწვია მოსახლეობის პროტესტი და შესაბამისი თემების მაჟორიტარი დეპუტატების გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება. საკრებულოს წევრებმა ადგილობრივი ხელმძღვანელობისგან მოითხოვეს განმარტება საკრებულოს მორიგი სხდომისთვის, თუ რატომ არ იყო გათვალისწინებული სათანადოდ და დროულად ზამთრისწინა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი გეგმის შემუშავება.

ბიუროს სხდომის ბოლოს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდება მიმდინარე წლის 28 თებერვალს დღის 12 საათზე.

სხვა წინადადება არ ყოფილა.

გადაწყვიტეს: საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდეს 28 თებერვალს დღის 12 საათზე.

ბიუროს სხდომა დამთავრდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი